# ხელშეკრულება №01-24/2017
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2017 წლის 13 იანვარი ქ. თბილისი

**შემსყიდველი:** სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ალექსანდრე კოდუას სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“)
**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №89/24 - კ. მარჯანიშვილის №89/24;
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 205316399;
**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კოდი: TRESGE22.

**მიმწოდებელი:** შპს „გლობალ სერვისი+“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის თალიკო ალავერდაშვილის სახით;
**იურიდიული მისამართი:** ქ. თბილისი, ნიკო ნიკოლაძის ქ. № 6;
**საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22, ა/ა GE66BG0000000123943700;
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 204931850;

ერთი მხრივ **შემსყიდველი**, ხოლო მეორე მხრივ **მიმწოდებელი**, ხელმძღვანელობენ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ადასტურებენ, რომ **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის , მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად**, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საერთო პირობები**

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის;

1.1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. „სამუშაო“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. სსიპ – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ, მიმწოდებლისგან, ქ. თბილისში, მისამართზე: თვალჭრელიძის ქუჩაზე №17 ა მდებარე სააგენტოს ცხოველთა თავშესაფრის საკარანტინო შენობის დერეფნის, სასაწყობე ფართისა და ვოლიერების, ჯამში 105 კვ. მეტრის, 40 მმ-იანი მონოლითური მოზაიკური იატაკის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ***(CPV: 45400000 – შენობის დასრულების სამუშაოები).*** ამასთან, სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

2.1.1. სამუშაოები უნდა შესრულდეს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

2.1.2. სამუშაოების დროს გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, საჭიროებისამებრ, მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი სამუშაო პროცესში გამოყენებულ მასალებზე.

2.1.3. თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა, ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

2.1.4. სამუშაოების წარმოების პარალელურად მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სამშენებლო ნარჩენების და ნაგვის მოგროვება და ტერიტორიიდან გატანა, სამუშაოების დასრულების

შემდეგ კი – გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისა და სხვადასხვა ნარჩენებისგან.

2.2. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია დანართში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განიყოფელ ნაწილს.

2.3. შესყიდვა ხორციელდება ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2017 წლის საბიუჯეტო სახსრებით.

**3. მხარეთა მოვალეობები**

*3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:*

3.1.1. უნაკლოდ და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეასრულოს ხელშეკრულების დანართით (ხარჯთაღრიცხვა) განსაზღვრული სამუშაო;

3.1.2. თუკი ხელშეკრულების დანართით (ხარჯთაღრიცხვა) გათვალისწინებულ შესრულებულ სამუშაოს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი და არ აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გამოასწოროს ეს ნაკლი.

*3.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

3.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

*3.3. შემსყიდველი ვალდებულია:*

3.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.3.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

*3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:*

3.4.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

3.4.2. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

**4. ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს **4 982.36** (ოთხიათასცხრაასოთხმოცდაორი ლარი და 36 თეთრი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

**5. ანგარიშსწორების წესი**

5.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

5.2. შესყიდვის ობიექტის საბოლოო ღირებულება დგინდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

5.3. მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესახებ წარმოდგენილი ფორმა №2-ის და ფორმა №3-ის და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად,

5.4. შემსყიდველი ვალდებულია, შესრულებულ სამუშაოზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა და ა.შ.) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურება.

5.5. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

5.6. გადახდის ფორმა – უნაღდო;

**6. სამუშაოების შესრულების წესი და ვადები**

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

6.2. სამუშაოს შესრულება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მოცემული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

6.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ხარჯთაღრიცხვებში ცვლილება მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ შემსყიდველს.

7.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე (ფორმა №2 და ფორმა №3) ხელმოწერის უფლებამოსილება, შემსყიდველის მხრიდან, განესაზღვროს სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ცხოველთა თავშესაფრის განყოფილების უფროსს რომან ჭელიძეს და ამავე განყოფილების უფროსის მოადგილეს მამუკა საყვარელიძეს;

7.3. სამუშაოების შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე შემსყიდველის უფლებამოსილი პირები ახდენენ შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ხარისხისა და შემსყიდველის მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს. ნაკლის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ამის შესახებ აცნობებენ მიმწოდებელს.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 მარტის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლისა.

8.2. ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლი მოქმედებს ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე გარანტიის ვადის სრულ ამოწურვამდე.

9. ხელშეკრულების ინსპექტირება

9.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

9.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება სააგენტოს დირექტორის მოადგილეს ალექსანდრე კოდუას ან/და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო განყოფილების უფროსს, დავით კლდიაშვილს;

9.3. კონტროლის/ინსპექტირების განმახორციელებელ პირებს უფლება აქვთ სამუშაოს მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის/ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. სტანდარტები

10.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოებისა და მასალების ხარისხის შესაბამისობა არსებულ სტანდარტებთან, სამშენებლო ნორმებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

11. გარანტია

11.1. შესრულებულ სამუშაოზე ვრცელდება 3 (სამი) წლიანი გარანტია;

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს შესრულებულ სამუშაოებზე შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ნებისმიერი ნაკლი (გარდა ისეთი ნაკლისა, რომელიც გამოწვეულია ექსპლუატაციის ნორმების არაწორი დაცვით). ნაკლის აღმოფხვრის სამუშაოები მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში. იმ შემთხვევაში თუ ასეთი სამუშაოების დაწყება შეუძლებელია სამი სამუშაო დღის განმავლობაში, მაშინ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სამუშაოების დაწყების და დასრულების ვადები, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს გონივრულ ვადებს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია სამუშაოს სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების/პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველისთვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება

13.5. ხელშეკრულების 12.1. და 12.3. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**13. მხარეთა პასუხისმგებლობა**

13.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის, ან სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

13.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**14. ფორს-მაჟორი**

14.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება ან ჯეროვანი შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.)

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

**15. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა**

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

**16. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

16.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

16.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

16.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 17. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

17.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

17.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 18. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო.

## 19. დასკვნითი დებულებები

19.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

19.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს).

**მხარეთა ხელმოწერები:**

| | |
|---|---|
| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
| **სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო** | **შპს „გლობალ სერვისი +"** |
| დირექტორის მოადგილე: | დირექტორი: |
| _____ /[illegible]/ | _____ /თალიკო ალავერდაშვილი / |

2017 წლის 13 იანვარს გაფორმებული №01-24 ხელშეკრულების დანართი

შესასრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

საკარანტინო ნაგებობის მოზაიკური იტაკის მოწყობა

ხახარჯთაღრიცხვო ღირებულება 4,982.36 ლარი

მათ შორის ხელფასი 2,205 ლარი

| № | ნაფუძველი | დასახელება | განზ. | რაოდენობა | ხელფასი | | მასალა | | სამშენებლო მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1 | | მონოლითური მოზაიკური იატაკის მოწყობა, სისქით 40მმ | მ2 | 105.000 | 21.00 | 2205.000 | | - | 3.20 | 336.00 | 2,541.00 |
| 2 | | მარმარილოს ღორღი | ტ | 6.000 | | - | 84.75 | 508.50 | | - | 508.50 |
| 3 | | ცემენტი | ტ | 3.000 | | - | 186.00 | 558.00 | | - | 558.00 |
| | | ჯამი | | | | 2,205.00 | | 1,066.50 | | 336.00 | 3,607.50 |
| | | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | 360.75 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 3,968.25 |
| | | მოგება | 6% | | | | | | | | 238.10 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 4,206.35 |
| | | სატრანსპორტო ხარჯები | 1.5% | | | | | 16.0 | | | 16.00 |
| | | ჯამი | | | | | | | | - | 4,222.34 |
| | | დ.ღ.გ % | 18% | | | | | | | | 760.02 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 4,982.36 |

შემსყიდველი:

სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

დირექტორის მოადგილე

ალექსანდრე ჯიბუტი

მიმწოდებელი:

შპს "გლობალ სერვისი +"

დირექტორი

თალიკო ალავერდაშვილი